

**ქვემო ქართლის ახალი არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის გზშ-ს ანგარიშის სკოპინგის დასკვნის
მოთხოვნებთან შესაბამისობის საკონტროლო სია**

სკოპინგის დასკვნის მოთხოვნები	ქვემო ქართლის ახალი არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის გზშ-ს ანგარიში
1.გზშანგარიშიუნდაშეიცავდესგარემოსდაცვითიშეფასებისკოდექსისმე-10მუხლისმე-3 პუნქტში მითითებულ ინფორმაციას:	
ა) დაგეგმილი საქმიანობის აღწერას, კერძოდ:	
ა.ა) საქმიანობის განხორციელების ადგილის აღწერას, GIS (გეოინფორმაციულსისტემები) კოორდინატების მითითებით (shp-ფაილთან ერთად), აგრეთვე დაგეგმილი საქმიანობისთვის გარემოს არსებული მდგომარეობის აღწერას;	მოცემულია თავში 3.2 shp-ფაილები თანდართულია
ა.ბ) ინფორმაციას მიწის კატეგორიისა და მიწათსარგებლობის ფორმის შესახებ, როგორც მშენებლობის, ისე ექსპლუატაციის ეტაპზე;	მოცემულია თავში 3.2
ა.გ) ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის ფიზიკური მახასიათებლების (სიმძლავრე, მასშტაბი და საწარმოო პროცესი, მათ შორის, შესაძლო საწარმოებელი პროდუქციის ოდენობა, მოთხოვნილი ენერგია, წარმოებისას გამოსაყენებელი მასალა და ბუნებრივი რესურსები და სხვა) შესახებ;	მოცემულია თავში 3.3
ა.დ) ინფორმაციას სადემონტაჟო სამუშაოებისა და მეთოდების შესახებ (საჭიროების შემთხვევაში);	სადემონტაჟო სამუშაოები არ არის განსახორციელებელი, ვინაიდან საპროექტო ტერიტორიაზე არ გვხვდება არც მიწის ზედა და არც მიწისქვეშა ინფრასტრუქტურა
ა.ე) ინფორმაციას მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპებზე შესაძლო უარყოფითი შედეგების და ემისიების (როგორებიცაა წყლის, ჰაერის, მიწის და წიაღისეულის დაბინძურება, ხმაური, ვიბრაცია, ელექტრომაგნიტური გამოსხივება, სითბური გამოსხივება, რადიაცია) შესახებ;	მოცემულია მე-10 და 11 თავებში
ა.ვ) ინფორმაციას იმ ნარჩენების სახეების, მახასიათებლებისა და რაოდენობის შესახებ, რომლებიც შესაძლოა წარმოიქმნას მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპებზე, აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში, ნარჩენების მართვის სფეროში მოქმედი ნორმატიული აქტებით განსაზღვრულ	მოცემულია მე-3 და მე-10 თავში, ასევე მე -5 დანართში. მშენებლობის ეტაპზე წარმოქმნილი ნარჩენების სახეების, მახასიათებლების და რაოდენობის ზუსტი

დამატებით ინფორმაციას;	აღწერა და შესაბამისი ნარჩენების მართვის გეგმის წარმოდგენა დაევალება მშენებელ კონტრაქტორს.
ბ) ინფორმაციას გარემოს დაცვის მიზნით შემოთავაზებული დაგეგმილი საქმიანობისა და მისი განხორციელების ადგილის ყველა გონივრული ალტერნატივის შესახებ, შესაბამისი დასაბუთებით, მათ შორის, უმოქმედობის (ნულოვანი) ალტერნატივის შესახებ, რომელიც გულისხმობს საქმიანობის განუხორციელებლობის შემთხვევაში გარემოს არსებული მდგომარეობის ბუნებრივად განვითარების	მოცემულია მე- 4თავში

სკოპინგის დასკვნის მოთხოვნები	სზს-ის ახალი არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის გზშ-ს ანგარიში
აღწერას, რომლის შეფასებაც შესაძლებელია არსებული ინფორმაციის გამოყენებით და მეცნიერულ ცოდნაზე დაყრდნობით;	
გ) ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებისას გარემოზე შესაძლო მნიშვნელოვანი ზემოქმედების შესახებ, მათ შორის, მოსახლეობაზე, ადამიანის ჯანმრთელობაზე, ბიომრავალფეროვნებაზე (მათ შორის, მცენარეთა და ცხოველთა სახეობები, ჰაბიტატები, ეკოსისტემები), წყალზე (მათ შორის, ჰიდრომორფოლოგიური ცვლილებები, რაოდენობა, ხარისხი), ჰაერზე, ნიადაგზე (მათ შორის, ნიადაგის მოხსნა), მიწაზე (მათ შორის, ორგანული ნივთიერებები, ეროზია, დატკეპნა, დეგრადაცია), კლიმატზე (მათ შორის, სათბურის გაზების ემისია), ლანდშაფტზე, კულტურულ მემკვიდრეობაზე (მათ შორის, არქიტექტურული და არქეოლოგიური ასპექტები) და მატერიალურ ფასეულობებზე ზემოქმედების შესახებ;	მოცემულია მე-10 და მე-11 თავში
დ) ინფორმაციას ამ ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ კომპონენტებსა და მათ ურთიერთქმედებაზე დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებით შესაძლო პირდაპირი და არაპირდაპირი, კუმულაციური, ტრანსსასაზღვრო, მოკლევადიანი და გრძელვადიანი, პოზიტიური და ნეგატიური ზემოქმედების შესახებ, რომელიც გამოწვეულია:	მოცემულია მე-10 და მე-11 თავში
დ.ა) დაგეგმილი საქმიანობისთვის საჭირო სამშენებლო სამუშაოებით, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, სადემონტაჟო სამუშაოებით;	მოცემულია მე- 10 თავში
დ.ბ) ბუნებრივი რესურსების (განსაკუთრებით – წყლის, ნიადაგის, მიწის, ბიომრავალფეროვნების) გამოყენებით, ამ რესურსების ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით;	მოცემულია მე-10 და მე-11 თავში
დ.გ) გარემოს დამაბინძურებელი ფაქტორების ემისიით, ხმაურით, ვიბრაციით, რადიაციით, ნარჩენების განთავსებითა და აღდგენით;	მოცემულია მე-10 და მე-11 თავში
დ.დ) გარემოზე, ადამიანის ჯანმრთელობაზე ან კულტურულ მემკვიდრეობაზე ზემოქმედების რისკებით (მაგალითად, ავარიის ან კატასტროფის შემთხვევაში);	მოცემულია მე-10 და მე-11 თავში
დ.ე) სხვა, არსებულ საქმიანობასთან ან დაგეგმილ საქმიანობასთან კუმულაციური ზემოქმედებით;	მოცემულია მე-11 თავში

დ.ვ) საქმიანობის კლიმატზე ზემოქმედებით და კლიმატის ცვლილებით განპირობებული საქმიანობის მოწყვლადობით;	მოცემულია მე-11 თავში
დ.ზ) გამოყენებული ტექნოლოგიით, მასალით ან/და ნივთიერებით;	მოცემულია მე-10 თავში
ე) ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების შედეგად შესაძლო ინციდენტების განსაზღვრისა და მათი შედეგების შეფასების შესახებ, მათ შორის, ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების სამოქმედო გეგმას;	მოცემულია მე-11 თავში და დანართ 10-ში ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გაგება
ვ) სამოქმედო გეგმას დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებით გამოწვეული გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფითი ზემოქმედების შედეგების, მათი თავიდან აცილების, შემცირების,	მოცემულია მე-11 თავში

სკოპინგის დასკვნის მოთხოვნები	სზს-ის ახალი არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის გზშ-ს ანგარიში
შერბილებისა და კომპენსაციის ღონისძიებათა შესახებ. ინფორმაცია უნდა მოიცავდეს როგორც საქმიანობის განხორციელების, ისე შემდგომი ექსპლუატაციის ეტაპებს;	
ზ) გარემოზე შეუქცევი ზემოქმედების შეფასებას და მისი აუცილებლობის დასაბუთებას, რაც გულისხმობს გარემოზე შეუქცევი ზემოქმედებით გამოწვეული დანაკარგისა და მიღებული სარგებლის ურთიერთშეწონას გარემოსდაცვით, კულტურულ, ეკონომიკურ და სოციალურ ჭრილში;	მოცემულია მე-10 და მე-11 თავში
თ) ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში ამ საქმიანობის დაწყებამდე არსებული გარემოს მდგომარეობის აღდგენის საშუალებების შესახებ;	მოცემულია მე-11 თავში, დანართი 12-სა და დანართი 6-ში.
ი) დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებით გამოწვეული გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების აღწერას, რომელიც განპირობებულია ავარიისა და კატასტროფის რისკის მიმართ საქმიანობის მოწყვლადობით;	მოცემულია დანართ 10-ში.
კ) სკოპინგის ეტაპზე საზოგადოების ინფორმირებისა და მის მიერ წარმოდგენილი მოსაზრებებისა და შენიშვნების შეფასებას;	მოცემულია პირველ და 5.1 თავში, ასევე დანართი 7-ში.
ლ) ინფორმაციას კვლევების მეთოდოლოგიის და გარემოს შესახებ ინფორმაციის წყაროების თაობაზე;	მოცემულია მე-5 და მე-6 თავში.
მ) ამ ნაწილის „ა“-„ლ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაციის მოკლე არატექნიკურ რეზიუმეს, საზოგადოების ინფორმირებისა და მონაწილეობის უზრუნველსაყოფად.	მოცემულია დანართ 13-ში.
2. გზშ ანგარიშს უნდა დაერთოს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-10 მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტაცია:	
ა) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად შედგენილი საბადოს დამუშავების გეგმა (მათ შორის, რეკულტივაციის პროექტი), საჭიროების შემთხვევაში;	არ არის რელევანტური
ბ) ინფორმაცია იმ კონსულტანტის დასახელებისა და იურიდიული მისამართის შესახებ, რომელიც მონაწილეობდა გზშ-ის ანგარიშის მომზადებაში (ასეთის არსებობის შემთხვევაში);	თანდართულია შესავლის ნაწილში

<p>გ) დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის გენერალური გეგმა, GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით (shp-ფაილთან ერთად), რომელშიც აღნიშნულია დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი, დროებითი ნაგებობები და კომუნალური სისტემები;</p>	<p>მოცემულია მე-3 თავში, Shp ფაილები თანდართულია.</p>
<p>დ) კერძო სამართლის იურიდიული პირისა და ინდივიდუალური მეწარმისთვის – საჯარო რეესტრიდან ამონაწერი, ფიზიკური პირისთვის – საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული იდენტიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, საჯარო სამართლის იურიდიული პირისთვის – სადამფუძნებლო დოკუმენტის ასლი;</p>	<p>თანდართულია შესავლის ნაწილში</p>

სკოპინგის დასკვნის მოთხოვნები	სზს-ის ახალი არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის გზშ-ს ანგარიში
ე) ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობით გათვალისწინებული მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი გამონამუშევრის განთავსების ტერიტორიის (სანაყარო) ალტერნატივების შესახებ, GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით, აგრეთვე ინფორმაცია აღნიშნული გამონამუშევრის განთავსების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში).	არ არის რელევანტური
შენიშვნა: თუ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებისადმი დაქვემდებარებული საქმიანობა იმავდროულად საჭიროებს სახელმწიფო ტყით განსაკუთრებული დანიშნულებით სპეციალურ სარგებლობას, ტყით განსაკუთრებული დანიშნულებით სპეციალური სარგებლობისთვის დადგენილი წესისა და პირობების შესაბამისად, საქმიანობის განმახორციელებელი უფლებამოსილია გზშ-ის ანგარიშს დაურთოს სახელმწიფო ტყით განსაკუთრებული დანიშნულებით სპეციალური სარგებლობისთვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტები.	არ არის რელევანტური
3. გზშ ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს კვლევის შედეგები, რომელიც შეიცავს სკოპინგის ანგარიშში (განსახორციელებელ), მოპოვებულ და შესწავლილ ინფორმაციას, გზშ-ს პროცესში შესწავლილ დეტალურ ზემოქმედებას და შესაბამის შემცირების/შემარბილებელ ღონისძიებებს.	
3.1 გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად გზშის ანგარიშში ხელმოწერილი უნდა იყოს იმ პირის/პირების მიერ, რომელიც/რომლებიც მონაწილეობდა/მონაწილეობდნენ მის მომზადებაში, მათ შორის, კონსულტანტის მიერ.	ხელმოწერილია
4. გზშ-ს ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს:	
პროექტის საჭიროების დასაბუთება;	მოცემულია თავში 3.1
დაგეგმილი საქმიანობის დეტალური აღწერა	მოცემულია თავში 3.3
საპროექტო ტერიტორიის დეტალური აღწერა. მათ შორის საპროექტო ტერიტორიების საკადასტრო კოდები, ფართობი, Shp ფაილები, GPS კოორდინატები;	მოცემულია თავში 3.2 Shp ფაილები თანდართულია დანართში

საპროექტო ტერიტორიიდან დაზუსტებული მანძილი უახლოეს საცხოვრებელ სახლებამდე, მდინარემდე (მდებარეობის მითითებით);	მოცემულია თავში 3.2
საპროექტო ობიექტის გენერალური გეგმა, მაღალი გარჩევადობით და შესაბამისი ექსპლიკაციით, სადაც დატანილი იქნება ყველა საპროექტო ინფრასტრუქტურული ობიექტი;	მოცემულია თავში 3.3
შერჩეულ ტერიტორიაზე ნაგავსაყრელის საპროექტო უჯრედების განლაგების სქემა, რუკაზე ჩვენებით (შესაბამის Shp ფაილებთან და GPS კოორდინატებთან ერთად);	მოცემულია თავში 3.3, Shp ფაილები თანდართულია დანართში
პროექტის ალტერნატიული ვარიანტები, შესაბამისი დასაბუთებით მათ შორის არაქმედების ალტერნატივა, ტექნოლოგიური ალტერნატივები, ობიექტის განთავსების ალტერნატივა, და გარემოსდაცვითი თვალსაზრისით შერჩეული დასაბუთებული ალტერნატივები. გზშ-ის ანგარიშის შესაბამის ქვეთავში, დეტალურად უნდა იქნეს დასაბუთებული ობიექტის განთავსების ალტერნატივებიდან შერჩეული ადგილმდებარეობის გარემოსდაცვითი, სოციალური, ეკონომიკური და ტექნიკური უპირატესობები;	მოცემულია მე-4 თავში
ნარჩენების განთავსების ტექნოლოგიური სქემის და ციკლის დეტალური აღწერა, შესაბამისი თანმიმდევრობით;	მოცემულია მე-3 თავში
ინფრასტრუქტურული ობიექტების, დანადგარების, ტექნოლოგიური მოწყობილობებისა და ტექნოლოგიური უბნების დეტალური აღწერა (თითოეული ობიექტის ტექნიკური და ტექნოლოგიური სქემების მითითებით);	მოცემულია თავში 3.8
ნარჩენების სეპარაციის/სორტირების და წინასწარი დამუშავების ობიექტის მოწყობის შემთხვევაში. გზშ-ის ანგარიშში დეტალურად უნდა იქნეს წარმოდგენილი ინფორმაცია, ობიექტის ფიზიკური მახასიათებლების, ტექნიკური და ტექნოლოგიური სქემის შესახებ;	არ არის რელევანტური
დეტალური ინფორმაცია თითოეული საპროექტო უჯრედის მაქსიმალური მოცულობების, ფართობის და სხვა პარამეტრების შესახებ, შესაბამისი სქემატური ნახაზების მითითებით;	მოცემულია თავში 3.3 და 3.4
დეტალური/დაზუსტებული ინფორმაცია თითოეული საპროექტო უჯრედის ექსპლუატაციის მაქსიმალური დროისა და მიწის ზედაპირიდან მაქსიმალური საპროექტო სიმაღლის შესახებ;	მოცემულია თავში 3.3 და 3.4
საპროექტო ობიექტის წარმადობა და თითოეულ უჯრედებში განსათავსებელი ნარჩენების რაოდენობის (ტონა) შესახებ ინფორმაცია. მათ შორის ერთი დღე- ღამის განმავლობაში განსათავსებელი ნარჩენების ზუსტი რაოდენობის (ტონა) შესახებ დეტალური ინფორმაცია;	მოცემულია თავში 3.4
საპროექტო უჯრედების ფსკერის საიზოლაციო სისტემის შესახებ დეტალური ინფორმაცია „ნაგავსაყრელის მოწყობის, ოპერირების, დახურვისა და შემდგომი მოვლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის” შესაბამისად;	მოცემულია თავში 3.3 და 3.5

ნარჩენების განთავსების ობიექტზე წარმოქმნილი გამონაჟონის მართვის საკითხები, მათ შორის: გამონაჟონის შეგროვებისა და დამუშავების (გაწმენდის) პროცესის ტექნოლოგიური სქემის დეტალური, თანმიმდევრული აღწერა (შესაბამისი სქემატური ნახაზების მითითებით);	მოცემულია თავში 3.9
საპროექტო ობიექტზე გამონაჟონი წყლის შეგროვებისა და შემდგომი მართვის მიზნით გამოსაყენებელი შეძგრები ჭებისა და რეზერვუარების შესახებ დეტალური ინფორმაცია. მათ შორის რეზერვუარების/ჭების პარამეტრები და განთავსების ადგილების რუკაზე ჩვენებით და GPS კოორდინატების მითითებით. მოცემული უნდა იყოს შესაბამისი დასაბუთება გამონაჟონის მიმდები და გაწმენდილი წყლის შეძგრები ჭები/რეზერვუარები, პროექტის როგორც პირველი ისე მეორე ეტაპის პერიოდში, რამდენად უზრუნველყოფს წყლების მოსალოდნელი მოცულობის შეკავებას;	მოცემულია თავში 3.9
ნარჩენების განთავსების ობიექტზე წარმოქმნილი გამონაჟონის გაწმენდისთვის შერჩეული ტექნოლოგიის და გამწმენდი სისტემის შემადგენელი ტექნოლოგიური ერთეულების დეტალური აღწერა (გამწმენდის ტიპი; პარამეტრები; გამწმენდის ეფექტურობა, ფილტრის ტიპი და სხვა მახასიათებლები);	მოცემულია თავში 3.9
გაწმენდის შედეგად წარმოქმნილი ლექის მართვის საკითხების აღწერა;	მოცემულია თავში 3.10
გამონაჟონის საკონტროლო/სათვალთვალო ჭების მოწყობის საკითხები;	მოცემულია თავში 3.10
მოსალოდნელი ჩამდინარე წყლების ქიმიური შედგენილობის შესახებ ინფორმაცია. ამასთან ჩამდინარე წყლების ლაბორატორიული კონტროლის შესახებ ინფორმაცია;	მოცემულია თავში 6.7
ნაგავსაყრელის აირების შეგროვების სისტემის და მართვის შესახებ დეტალური ინფორმაცია. მათ შორის დეტალური ინფორმაცია აირშემკრები ჭებისა და ჩირაღდნების სისტემის შესახებ. ამასთან ნაგავსაყრელზე გამოყოფილი აირებით ელ.ენერგიის წარმოების შემთხვევაში გზშ-ის ანგარიშში მოცემული უნდა იყოს ელ.ენერგიის წარმოების ობიექტის შესახებ დეტალური ინფორმაცია;	მოცემულია თავში 3.11
დეტალური ინფორმაცია სახანძრო უსაფრთხოების შესახებ;	მოცემულია დანართ 10-ში.
საპროექტო ობიექტის სასმელ-სამეურნეო და ტექნიკური წყალმომარაგების შესახებ ინფორმაცია;	მოცემულია თავში 3.8

წყალმომარაგების სისტემის განლაგება და ტექნიკური მონაცემები, მოხმარებული წყლის რაოდენობრივი მაჩვენებლების შესახებ ინფორმაცია;	მოცემულია თავში 3.8
სამეურნეო-ფეკალური წყლების მართვის საკითხები;	მოცემულია თავში 10.7
საპროექტო ტერიტორიაზე, ტექნოლოგიურ უბნებზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების მართვის შესახებ დეტალური ინფორმაცია (შესაბამისი სქემატური ნახაზების მითითებით);	მოცემულია თავში 3.10
სადრენაჟო სისტემის/ქსელის მოწყობის დეტალური პროექტი, მიწების დიამეტრისა და სხვა მონაცემების მითითებით, შესაბამისი სქემატური ნახაზით - „ნაგავსაყრელის მოწყობის, ოპერირების, დახურვისა და შემდგომი მოვლის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად;	მოცემულია თავში 3.9 და 3.10
+5 °C-ზე მაღალი ტემპერატურის პირობებში, ნაგავსაყრელის უჯრედების ყოველდღიური, ხოლო +5 °C-ზე დაბალი ტემპერატურის პირობებში სულ მცირე, 3 დღეში ერთხელ გადაფარვის შესახებ დეტალური ინფორმაცია. მათ შორის გადაფარვის სიხშირე, გამოყენებული მასალისა და მისი ეფექტურობის შესახებ დეტალური ინფორმაცია;	მოცემულია დანართი 8-ის თავში 4.1.5.1
უჯრედების მუშა ზედაპირზე მისასვლელი გზების მოწყობის შესახებ ინფორმაცია;	მოცემულია თავში 3.6
მშრალ ამინდებში, უჯრედების მუშა უბანზე ნარჩენების ზედაპირის დასველების/მორწყვის შესახებ ინფორმაცია და ამ მიზნით ჩამონაჟონი, გაწმენდილი წყლის გამოყენების შესაძლებლობის შესახებ ინფორმაცია;	მოცემულია თავში 3.9.5.
ნარჩენების ტრანსპორტირების, სამოძრაო მარშრუტების შესახებ (რუკაზე ჩვენებით) დეტალური ინფორმაცია, მათ შორის ტრანსპორტირების გეგმა- გრაფიკი. ამასთან მნიშვნელოვანია გათვალისწინებულ იქნეს დასახლებულ პუნქტ(ებ)ში გადაადგილების შესაბამისი პირობები, მაგ: დაბალი სიჩქარე, სამოძრაო გზის მორწყვა, ძარის გადახურვა;	მოცემულია თავში 11.6.2 და 12
საპროექტო მისასვლელი გზის შესახებ დეტალური ინფორმაცია, შესაბამისი პარამეტრებისა და მოწყობის გეგმის მითითებით. მათ შორის გეომეტრიული პარამეტრების, გზის საფარისა და განივი კვეთების, შესახებ ინფორმაცია, ასევე წყალსარინი არხების, დრენაჟის მიწების/კიუვეტების მოწყობის შესახებ ინფორმაცია;	მოცემულია თავში 3.8.1
დეტალური ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიის ფარგლებში გამწვანებითი ღონისძიებების შესახებ, გენ-გეგმაზე მითითებით. მათ შორის მიზანშეწონილია გამწვანების ზოლი მოეწყოს უახლოესი დასახლებული პუნქტების მხარეს;	მოცემულია თავში 11.4

დასაქმებული ადამიანების რაოდენობა, მათ შორის დასაქმებულთა შორის ადგილობრივი მოსახლეობის წილი, ასევე პერსონალის პროფესიული და ტექნიკური სწავლების შესახებ ინფორმაცია;	მოცემულია თავში 11.5
4.1. პროექტის ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოების შესახებ ინფორმაცია, კერძოდ:	
სამშენებლო სამუშაოების შესახებ დეტალური ინფორმაცია, შესაბამისი ვადების მითითებით. მათ შორის პროექტით გათვალისწინებული სამშენებლო ეტაპების შესახებ დეტალური ინფორმაცია, ამასთან თითოეულ ეტაპზე დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ დეტალური ინფორმაცია, შესაბამისი თანმიმდევრობით, ვადების მითითებით;	პროექტის სამშენებლო სამუშაოების შესახებ ინფორმაცია მოცემულია თავში 3.3. რაც შეეხება სამშენებლო სამუშაოების დეტალურ გეგმა-გრაფიკს, მისი წარმოდგენის ვალდებულება დაევალება მშენებელ კონტრაქტორს
სამშენებლო ბანაკის და სამშენებლო მოედნის მოწყობის შემთხვევაში, მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია ფართობის, განსათავსებელი ინფრასტრუქტურის შესახებ, shp ფაილების და GPS კოორდინატების მითითებით;	იხ დანართი Shp ფაილები
ფუჟი გრუნტის სანაყაროს მოწყობის შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იყოს დეტალური ინფორმაცია სანაყაროს ფართობის, განსათავსებელი გრუნტის მოცულობის შესახებ, GPS კოორდინატების მითითებით;	არ არის რელევანტური
ნიადაგის საფარის მოხსნის სამუშაოების, გრუნტის სამუშაოების და სარეკულტივაციო სამუშაოების შესახებ დეტალური ინფორმაცია („ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნათა დაცვით);	მოცემულია დანართი 6-ში
გამოყენებული ტექნიკის ჩამონათვალი და რაოდენობა;	მოცემულია თავში 6.5
4.2. გზშ-ს ანგარიშის გეოლოგიურ ნაწილში წარმოდგენილი უნდა იყოს:	
გეოლოგიური გარემოს ფონური მდგომარეობის აღწერა: რელიეფი (გეომორფოლოგია); გეოლოგიური აგებულება; სეისმური პირობები; ჰიდროგეოლოგიური პირობები; საინჟინრო-გეოლოგიური პირობები.	მოცემულია თავში 6.3
გეოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება, საშიში გეოლოგიური პროცესების (არსებობის შემთხვევაში) შესაძლო გააქტიურების განსაზღვრა საპროექტო ობიექტის მშენებლობა-ექსპლუატაციის პერიოდში, პრევენციული ღონისძიებების მითითებით.	მოცემულია თავში 10.4 და 11.1
ზემოქმედება მიწისქვეშა/გრუნტის წყლებზე;	მოცემულია თავებში 10.7 და 11.3

4.3. გზშ-ის ანგარიშში, ბიომრავალფეროვნების შეფასების ნაწილში წარმოდგენილი უნდა იყოს:	
შერჩეულ ტერიტორიაზე ჩატარებული ბიომრავალფეროვნების კვლევის ანგარიში, რომელიც უნდა მოიცავდეს ბიომრავალფეროვნებაზე შესაძლო ზემოქმედების შეფასებას და შემარბილებელ ან/და საკომპენსაციო ღონისძიებებს. ასევე მოცემული უნდა იყოს ბიომრავალფეროვნების კვლევის პერიოდი, მეთოდოლოგია და დაფიქსირებული სახეობები;	მოცემულია თავებში 7, 10.9 და 11
წარმოდგენილი უნდა იყოს მოწყობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე ბიოლოგიურ გარემოზე (ფლორისა და ფაუნის წარმომადგენლებზე) შესაძლო ზემოქმედების სახეები, ზემოქმედების შეფასება და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;	მოცემულია თავებში 10.9 და 11.4
საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, ვინაიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენები წარმოადგენს ფრინველთა მომრავლების/მოზიდვის წყაროს, განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს ორნითოფაუნაზე შესაძლო ზემოქმედების შეფასების საკითხზე. გზშ-ის ანგარიშში მოცემული უნდა იყოს ფრინველებზე ჩატარებული კვლევების ანგარიშები და შესაბამისი, ადეკვატური შემარბილებელი ან/და საჭიროების შემთხვევაში, საკომპენსაციო ღონისძიებები;	მოცემულია დანართი 9-ში
გზშ-ის ანგარიშში უნდა მოიცავდეს ნაგავსაყრელის და მისი მშენებლობისათვის საჭირო სხვა ინფრასტრუქტურის მოსაწყობად დაგეგმილი მოსაჭრელი ხე- მცენარეების ზუსტ მონაცემებს, სახეობების მიხედვით, რაოდენობის და მოცულობის მითითებით;	მოცემულია თავში 10.9
გზშ-ის ანგარიშში, ასევე უნდა მოიცავდეს მშენებლობა-ექსპლუატაციის ეტაპზე განსახორციელებელ - ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის გეგმას, სადაც აისახება ბიომრავალფეროვნების ცალკეულ კომპონენტებზე ზემოქმედების დაკვირვების საკითხი.	მოცემულია დანართი 8-ში.
5. პროექტის განხორციელების შედეგად გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება გარემოს თითოეული კომპონენტისათვის:	
გზშ-ს ანგარიშში მოცემული უნდა იყოს გარემოს დაბინძურების ყველა წყაროს დეტალური აღწერა, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;	მოცემულია მე-10 და მე-11 თავებში
წარმოდგენილი უნდა იყოს პროექტის მშენებლობა-ექსპლუატაციის ეტაპზე ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების შეფასება. მათ შორის მოცემული უნდა იყოს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროები (გენგეგმაზე მითითებით), გაფრქვეული მავნე ნივთიერებები, გაბნევის ანგარიში; ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების პრევენციული და შემარბილებელი ღონისძიებები; ატმოსფერული ჰაერის ხარისხის	მოცემულია დანართ 4-ში - ზდგ ანგარიში

მონიტორინგის გეგმა, რომელშიც მონიტორინგის კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან ერთად, გათვალისწინებული იქნება ნაგავსაყრელის საზღვართან ინსტრუმენტული მონიტორინგის საკითხები (მონიტორინგის წერტილებისა და სიხშირის მითითებით); ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი;	
გზმ-ის ანგარიშში მოცემული უნდა იყოს საპროექტო ობიექტის ოპერირების ეტაპზე სუნის გავრცელებით გამოწვეული ზემოქმედების შეფასება, ამასთან, ტერიტორიაზე წარმოქმნილი სუნის გავრცელების შემარბილებელი და პრევენციული ღონისძიებების შესახებ დეტალური ინფორმაცია;	მოცემულია თავში 11.2
საპროექტო ობიექტის მოწყობა-ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის გავრცელება და მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;	მოცემულია თავებში 6.6, 10.8, 10.11 და 11.6
ზემოქმედება ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე, ამასთან ნიადაგის/გრუნტის დაბინძურების შეფასება და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;	მოცემულია თავებში 6, 10, 11
საპროექტო ნაგავსაყრელის ექსპლუატაციის დროს, მიმდებარე ტერიტორიაზე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების შესაძლო დაბინძურების და პრევენციული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია;	მოცემულია მე-11 თავში და დანართ 8-ში
მიწისქვეშა/გრუნტის წყლების დაბინძურების პრევენციის მიზნით, წარმოდგენილი უნდა იყოს საპროექტო ობიექტის გამონაჟონი წყლების ხარისხის მუდმივი კონტროლის შესახებ ინფორმაცია;	მოცემულია დანართ 8-ში.
ზემოქმედება ზედაპირული წყლის ობიექტზე, დაბინძურების რისკები და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები. მდ. ალგეთში წყლის ჩაშვების შემთხვევაში, გზმ-ის ანგარიშს თან უნდა დაერთოს კანონმდებლობით გათვალისწინებული - ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმების (ზ.დ.ჩ) პროექტი;	მოცემულია მე-11 თავში დას დანართ 3-ში-ზდჩ ს პროექტი.
კუმულაციური ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია;	მოცემულია თავში 11.5
ობიექტის მშენებლობის ეტაპზე ნარჩენების წარმოქმნით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება;	მოცემულია მე-10 და მე-11.6 თავებში.
მნიშვნელოვანია გზმ-ის ანგარიშში დეტალურად იქნეს ასახული პროექტის მოწყობა-ექსპლუატაციით გამოწვეული ზემოქმედება და ზემოქმედების შეფასება სოციალურ-	მოცემულია თავებში 10.11 და 11.5

ეკონომიკურ გარემოზე, ასევე ადამიანის ჯანმრთელობასთან, უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;	
ისტორიულ-კულტურულ და არქეოლოგიურ ძეგლებზე ზემოქმედების შეფასება;	მოცემულია თავში 10.10
მოწყობა-ექსპლუატაციის ეტაპზე ზემოქმედება სატრანსპორტო ნაკადებზე და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;	მოცემულია თავში 11.6.2
ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების დეტალური გეგმა;	მოცემულია დანართ 10-ში
ობიექტის მოწყობა-ექსპლუატაციის ეტაპებისთვის შემუშავებული კონკრეტული შემარბილებელი ღონისძიებების გეგმა-გრაფიკი;	მოცემულია თავში 10.16
ობიექტის მოწყობა-ექსპლუატაციის ეტაპებისთვის შემუშავებული გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა, შესაბამისი საკონტროლო წერილების მითითებით;	მოცემულია თავში 12
გზშ-ს ფარგლებში შემუშავებული ძირითადი დასკვნები, რეკომენდაციები და საქმიანობის განხორციელების პროცესში განსახორციელებელი ძირითადი ღონისძიებები;	თავი 11.6 და თავი 12 დანართები: 3, 6,7, 8, 9, 10, 11, 12
სკოპინგის ეტაპზე საზოგადოების მიერ წარმოდგენილი მოსაზრებებისა და შენიშვნების შეფასება და განსახორციელებელი ღონისძიებების დეტალური აღწერა.	მოცემულია დანართ 7-ში
6. გზშ-ს ანგარიშში ნაგავსაყრელის მოწყობა-ექსპლუატაციის, დახურვის და შემდგომი მოვლის შესახებ ასახული ინფორმაცია შესაბამისობაში უნდა იყოს საქართველოს მთავრობის 2015 წლის 11 აგვისტოს №421 დადგენილებით დამტკიცებული „ნაგავსაყრელის მოწყობის, ოპერირების, დახურვისა და შემდგომი მოვლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის“ მოთხოვნებთან. მათ შორის წარმოდგენილი უნდა იყოს:	
აღნიშნული რეგლამენტის მე-8 მუხლის 1 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია, მათ შორის:	
ოპერირების, მონიტორინგის და კონტროლის გეგმა („ვ“ ქვეპუნქტი);	მოცემულია დანართ 8-ში
ნაგავსაყრელის დახურვისა და დახურვის შემდგომი მოვლის გეგმა („ზ“ ქვეპუნქტი);	მოცემულია დანართ 12-ში
ნაგავსაყრელის უჯრედების საპროექტო მოცულობა, სექციებისა და უჯრედების მოწყობისა და ოპერირებისას მათი გამოყენების სავარაუდო თანმიმდევრობა და ნუმერაცია („თ“ ქვეპუნქტი);	მოცემულია მე-3 თავში

ნარჩენების მიღებისა და შემოწმების პროცედურები („ი“ ქვეპუნქტი);	მოცემულია დანართ 8-ში
ნაგავსაყრელის მოწყობასა და ოპერირებასთან დაკავშირებული საქმიანობების დეტალური აღწერა („კ“ ქვეპუნქტი);	მოცემულია თავი 3-ში
ნაგავსაყრელის დახურვისა და დახურვის შემდგომი მოვლის გეგმა („ზ“ ქვეპუნქტი);	მოცემულია მე-12 დანართში
ნაგავსაყრელზე მისაღები ნარჩენების კოდები და დასახელებები „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 აგვისტოს N426 დადგენილებით დამტკიცებული ნარჩენების ნუსხის შესაბამისად;	მოცემულია მე-5 დანართში
მიღებული და დამუშავებული ნარჩენების შესახებ ინფორმაცია „ნარჩენების აღრიცხვის წარმოების, ანგარიშგების განხორციელების ფორმისა და შინაარსის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 11 აგვისტოს N422 დადგენილების შესაბამისად;	მოცემულია მე-8 და მე-5 დანართებში.
ტექნიკური რეგლამენტის 37-ე 38-ე და 39-ე მუხლებით განსაზღვრული კონტროლისა და მონიტორინგის პარამეტრები;	მოცემულია მე-12 თავში მოცემულია დანართებში 8, 3 და 4
7. შენიშვნები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნეს გზშ-ის ანგარიშში:	
სკოპინგის ანგარიშში დეტალურად განხილულია მხოლოდ საპროექტო ობიექტის პირველი ეტაპის (უჯრედები #1 და #2) ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები, რაც გზშ-ის ეტაპზე საჭიროებს დაზუსტებას. კერძოდ წარმოდგენილი უნდა იყოს როგორც პირველი, ისე მეორე ეტაპით გათვალისწინებული ღონისძიებების შესახებ დეტალური ინფორმაცია, შესაბამისი თანმიმდევრობით;	მოცემულია მე-3 თავში
ხანძარსაწინააღმდეგო სისტემა ადმინისტრაციული შენობის გარდა, გათვალისწინებული უნდა იქნეს ნარჩენების განთავსების ადგილზეც;	მოცემულია თავში 3.8.13
დაზუსტებას საჭიროებს საპროექტო ობიექტიდან მოსახლეობამდე დაშორების მანძილები. სკოპინგის ანგარიშში მითითებულია განსხვავებული მანძილები, მაგ სურათი 1-ზე და სურათი 4.1-ზე მანძილი უახლოეს დასახლებამდე საპროექტო ლოკაციიდან 1600 მეტრია ნაჩვენები, ხოლო ცხრილებში 3.1.1-სა და 4.1-ში 2000 მეტრი;	გასწორებულია, მანძილი არის 1600 მ
გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს საპროექტო ობიექტის მიმდებარედ არსებული წყალსაქაჩი სადგურის მფლობელთან, ნაგავსაყრელის მშენებლობის დროს შესაბამისი ტექნიკური გადაწყვეტების შესახებ, შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;	მოცემულია თავში 4.2.2

<p>გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი იქნეს საპროექტო ობიექტის სიახლოვეს მდებარე შპს „ნიტრო-კორდექსის“ საქმიანობის შესახებ ინფორმაცია. ამასთან წარმოდგენილი უნდა იყოს ნაგავსაყრელისა და აღნიშნული ობიექტის ოპერირებით გამოწვეული შესაძლო ურთიერთზეგავლენის საკითხის შეფასების შესახებ ინფორმაცია. გაცნობებთ, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ თეთრიწყაროს რაიონში, მარნეული-თეთრიწყაროს გზატკეცილის მე-15 კმ-ზე, სოფ. წინწყაროსთან არსებულ ტერიტორიაზე 2006 წლის 23 იანვარს გაცემულია N21 სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა (გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება N2-39; 12.01.2021) სამრეწველო დანიშნულების თანამედროვე მსოფლიო სტანდარტების შესაბამისი ფეთქებადი ნივთიერებების წარმოების ქარხნის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე;</p>	<p>მოცემულია თავში 11.5.6</p>
<p>გზშ-ს ანგარიშში დეტალურად აღიწეროს რა კონკრეტული სახის ღონისძიებები გატარდება სუნიის გავრცელების პრევენციის მიზნით (მეთოდოლოგია, შემარბილებელი ღონისძიებები). აღნიშნული საკითხი მნიშვნელოვანია სოციალურ გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების მხრივ, ვინაიდან პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ქვეყანაში არსებულ მსგავსი ტიპის საქმიანობებს თან ახლავს აღნიშნული პრობლემა, რაც იწვევს მოსახლეობის უკმაყოფილებას;</p>	<p>მოცემულია თავში 11.2.2</p>
<p>სკოპინგის ანგარიშის განხილვის და ელექტრონული გადამოწმების შედეგად დგინდება, რომ საპროექტო ტერიტორიის ნაწილი, კერძოდ N 84.10.38.017 საკადასტრო კოდით განსაზღვრული ტერიტორია, წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს, ხოლო ტერიტორიას ფლობს ფიზიკური პირი. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის მიზნობრივი დანიშნულების ცვლილების გარეშე მისი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენება დაუშვებელია. ამასთან გზშ-ის ეტაპზე საქმიანობის განმახორციელებლის მიერ წარმოდგენილ უნდა იქნეს საპროექტო ტერიტორიის საკუთრების ან სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;</p>	<p>მოცემულია პირველ თავში, ასევე იხილეთ წერილების დანართი</p>
<p>გზშ-ის ანგარიშში მოცემული უნდა იყოს დაზუსტებული მანძილი აეროდრომიდან საპროექტო ტერიტორიამდე;</p>	<p>მოცემულია მე-3 თავში</p>
<p>მიუხედავად იმისა, რომ საპროექტო ობიექტი განთავსდება (სკოპინგის ანგარიშის მიხედვით) სამხედრო აეროდრომის ცენტრიდან 13.29 კილომეტრის დაშორებით, გზშ-ის ეტაპზე უნდა განხორციელდეს შესაბამისი შეფასება - პროექტის ექსპლუატაციის ეტაპზე, აეროდრომამდე მანძილის გათვალისწინებით, ორნითოლოგიური ვითარების გაუმჯობესების ან/და გაუარესების შესახებ და აუცილებლობის შემთხვევაში განისაზღვროს საჭირო ზომები;</p>	<p>მოცემულია დანართ 9-ში</p>
<p>სკოპინგის ანგარიშში (პ. 5.2) აღნიშნულია, რომ საპროექტო ტერიტორიაზე არ არის არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები. თუმცა მშენებლობის ეტაპზე</p>	<p>მოცემულია მე-10 და მე-11 თავებში, ასევე დანართ 2-ში.</p>

<p>მიწის სამუშაოების პროცესში შესაძლოა აღურიცხავი არქეოლოგიური ობიექტის შემთხვევითი გამოვლენა, ასეთი შემთხვევებისთვის კომპანიას გათვალისწინებული უნდა ჰქონდეს შესაბამისი მართვის გეგმა და პროცედურები;</p>	
<p>"განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების (გარდა რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის № 257 დადგენილების 50-ე მუხლის მე-2 პუნქტის "ძ" ქვეპუნქტის თანახმად, წარმოდგენილი პროექტით განსაზღვრული ობიექტის მშენებლობა (არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელი ნაგებობა) განეკუთვნება განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტებს. ამასთან „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე კარიერის დამუშავებაზე და სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების, ასევე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტის მშენებლობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ორგანო - აღნიშნული უფლებამოსილება დელეგირებულია სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, არასახიფათო ნარჩენების განთავსების (ნაგავსაყრელის) სამშენებლო ტერიტორიაზე უნდა განხორციელდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული არქეოლოგიური კვლევითი სამუშაოები, ხოლო კვლევის ანგარიში წარდგენილი უნდა იქნეს სსიპ - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში შესაბამისი დასკვნის მოსამზადებლად. სააგენტოს მიერ გაცემული დასკვნა თან უნდა დაერთოს გზშ-ის ანგარიშს;</p>	<p>მოცემულია დანართ 2-ში</p>
<p>სკოპინგის ანგარიშის 28-ე გვერდზე მოცემული ქვეთავის „ჩამდინარე წყლები, ელექტრომომარაგება, წყალმომარაგება (სასმელი წყალი) და კომუნიკაციები“-ის მე-4 აბზაცის ბოლო სტრიქონში აღნიშნულია, რომ სასმელი წყალმომარაგების მიზნით შესაძლებელია „... დაერთება იმ საირიგაციო მიწებზე, რომლებიც კვეთენ ნაკვეთს“. შპს „საქართველოს მელიორაციის“ ინფორმაციით, აღნიშნული საირიგაციო მიწები გადიან პოლიგონის მიმდებარე ტერიტორიაზე და არ კვეთენ საპროექტო ნაკვეთს. ამასთან აღსანიშნავია, რომ ირიგაციული დანიშნულების წყლის გამოყენება სასმელად შესაბამისი დამუშავების გარეშე, გაუმართლებელია. ამავე დროს გასათვალისწინებელია, რომ ზაფხულის პერიოდში სასმელ წყალზე გაზრდილი მოთხოვნილების პირობებში, შემცირდება ირიგაციული წყლის პროექტით დადგენილი რაოდენობა, რაც შესაბამისად აისახება მორწყული ფართობების</p>	<p>მოცემულია მე-3 თავში</p>

შემცირებაში. ზემოაღნიშნული გარემოებები საჭიროებს დაზუსტებას და გათვალისწინებული უნდა იქნეს გზშ-ის ეტაპზე ;	
სკოპინგის 51-ე გვერდზე მოცემულ ქვეთავში - „სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური პარამეტრები - გზის საფარი“, არ არის გათვალისწინებული ნარჩენების პოლიგონთან მისასვლელი გზით ირიგაციული მილსადენების გადაკვეთების ტექნიკური პარამეტრები, რაც გზშ-ის ეტაპზე საჭიროებს დაზუსტებას. ამასთან შპს „საქართველოს მელიორაციის“ ცნობით ირიგაციული დანიშნულების მილსადენების სამანქანო გზით გადაკვეთებზე, მილსადენების კიდედან 2-2 მეტრის დაცილებით უნდა მოეწყოს რკინაბეტონის საყრდენები, რომლებზეც განთავსდება შესაბამისი ზომის და რაოდენობის ორტესებრი კოჭებით გამაგრებული რკინაბეტონის კონსტრუქცია, რაც დააკმაყოფილებს პოლიგონთან მისასვლელი მძიმეწონიანი მანქანების მოძრაობის პირობებს და დაზიანებისაგან დაიცავს ირიგაციული დანიშნულების მილსადენებს;	მოცემულია თავში 3.8.1
გზშ-ის ანგარიშში განხილული უნდა იყოს საპროექტო ტერიტორიის ფარგლებში არსებული ელექტროგადამცემი ხაზის გადატანის ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია;	მოცემულია მე-3 თავში
სკოპინგის ანგარიშის სათაური „ქვემო ქართლის მყარი ნარჩენების მართვის პროექტი“ საჭიროებს კორექტირებას. ამასთან დაზუსტებას საჭიროებს რამდენად შეესაბამება პროექტის სამინისტროში წარმოდგენის საკანონმდებლო საფუძველი (დღე-ღამეში 100 ტონაზე მეტი არასახიფათო ნარჩენის განთავსება) დაგეგმილი საქმიანობის მახასიათებლებს;	მოცემულია თავში 2.2
გზშ-ის ანგარიში შედგენილი უნდა იყოს მოქმედი კანონმდებლობისა და განსაკუთრებით სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული მითითებების სრული დაცვით. გზშ-ის ანგარიშში მოცემული უნდა იყოს სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული თითოეული საკითხის შესახებ დეტალური, დაზუსტებული ინფორმაცია შესაბამისი თანმიმდევრობით.	გათვალისწინებულია
გზშ-ს ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული საკითხების შესაბამისად (ერთიანი ცხრილის სახით).	მოცემულია წინამდებარე ცხრილში